დანართი 1

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერის 2024 წლის ---- თებერვლის
N---------- ბრძანებით

ქვეპროგრამის „სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“, ღონისძიების „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ფარგლებში კონკურსის პირობების შესახებ

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აღნიშნული დებულება არეგულირებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის შესაბამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“, ღონისძიების „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ (შემდგომში - ქვეპროგრამა) ფარგლებში, კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, კომპენტენციებს და მხარეთა ვალდებულებებს.

2. ქვეპროგრამის ფარგლებში, კონკურსში გამარჯვებულ საუკეთესო შედეგის მქონე პირთა (შემდგომში - სტიპენდიატი) გამოვლენა ხდება კონკურსის წესით.

3. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი (ბაკალავრიატი) და მეორე (მაგისტრატურა) საფეხურის უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს - საქართველოს მოქალაქეს (შემდგომში - კონკურსანტი), რომელიც უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის (შემდგომში - მიმღები სასწავლებელი) მომენტისათვის რეგისტრირებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მიმდინარე სასწავლო წლის აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, საკონკურსო - საშემოდგომო ან საგაზაფხულო სემესტრის მიხედვით, მიღებული აქვს დადებითი შეფასება:

- პრიორიტეტულ მიმართულებებზე ჩარიცხულ სტუდენტებს - 81 ქულა და მეტი;
- სხვა დანაჩენ მიმართულებებზე ჩარიცხულ სტუდენტებს - 91 ქულა და მეტი.

4. ქვეპროგრამით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, სტიპენდია გაიცემა კონკურსში გამარჯვებულ 50 სტიპენდიანტზე. მათ შორის:

- პრიორიტეტული საგანმანათლებლო მიმართულებით - 40 სტიპენდიანტი;
- სხვა საგანმანათლებლო მიმართულებით - 10 სტიპენდიანტი.

5. თუ ვერ გამოვლინდა საუკეთესო შედეგების მქონე 40 სტიპენდიანტი პრიორიტეტულ მიმართულებების მიხედვით, მაშინ დარჩენილ ვაკანტურ ადგილებზე, ამ დებულებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, მოხდება, სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტთა შერჩევა.

6. კონკურსი არ ითვალისწინებს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ბოლო დამამთავრებელი სემესტრის კონკურსანტთა მონაწილეობას.

მუხლი 2. განმარტებები

1. **ლუკა ასათიანი** (1836 – 1902წწ.) - ქალაქ ბათუმის პირველი (1894 წ.) და მეორე (1898წ.) არჩეული ხელმძღვანელი - ქალაქის თავი. პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. მის სახელს უკავშირდება - ბათუმის საბჭოს აგება, ახლანდელი რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობა, სამკურნალო და საგანმანათლებლო დაწესებულებების (ყველა ეროვნებისათვის, მათ ენაზე დაწყებითი კლასების) გახსნა, ქალაქის განაშენიანების, განსაკუთრებით მიმდებარე ტერიტო-რიებზე ჭაობის ამოშრობა, სანიაღვრე კანალიზაციის არხების მოწყობა და სხვა უამრავი ინიციატივა.

2. საკონკურსო სემესტრი - ამ შემთხვევაში, საშემოდგომო ან საგაზაფხულო სემესტრი, რომლის მიმართებაში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, გამოცხადებულია კონკურსი.

3. აკადემიური მოსწრების დოკუმენტი - ამ შემთხვევაში, მიმღები სასწავლებლის მიერ გაცემული დოკუმენტი, სტუდენტის აკადემიური მოსწრების შესახებ, საკონკურსო სემესტრის მიხედვით განვლილ საგნებში მიღებული შეფასებების (ქულები/კრედიტები) და საბოლოო სემესტრული ქულის მითითებით.

მუხლი 3. კონკურსის მიზანი

1. კონკურსის მიზანია, უმაღლეს სასწავლებელში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სტიმულირება/მოტივირება, კომპეტენციების ამაღლებისა და შემდგომი პროფესიული წინსვლა - განვითარების მხარდაჭერა/ხელშეწყობა.

2. მიმდინარე სასწავლო წლის საკონკურსო - საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების მიხედვით 50 - 50 ყველაზე წარმატებული სტიპენდიანტის გამოვლენა.

მუხლი 4. სტიპენდიის ოდენობა

საკონკურსო - საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრების მიხედვით, აკადემიური მოსწრების საუკეთესო შედეგის მქონე 50 - 50 სტიპენდიანტი მიიღებს ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიას (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით):

ა) საშემოდგომო სემესტრის შედეგების მიხედვით - 1 000 ლარი;

ბ) საგაზაფხულო სემესტრის შედეგების მიხედვით - 1 000 ლარი.

მუხლი 5. დოკუმენტაცია

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - მერია), ყოველ საკონკურსო სემესტრთან (საშემოდგომო ან საგაზაფხულო) მიმართებაში, იწყებს განცხადებების მიღებას კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის.

2. კონკურსანტმა მერიის ადმინისტრაციის საქმისწარმოების განყოფილებაში (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ.N25) უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) **განცხადება** - კონკურსში მონაწილეობის თაობაზე;

ბ) **საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;**

გ) **ფერადი ფოტოსურათი** (ზომა - 3 × 4);

დ) **საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;**

ე) **უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული დოკუმენტი -** სტუდენტის სასწავლებელში ჩარიცხვის თარიღის, საგანმანათლებლო პროგრამის, ფაკულტეტის, კურსის და სპეციალობა/კვალიფიკაციის მითითებით;

ვ) **უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული დოკუმენტი -** სტუდენტის აკადემიური მოსწრების

შესახებ საკონკურსო - საშემოდგომო ან საგაზაფხულო სემესტრის მიხედვით;

ზ) **დოკუმენტი** - ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების თაობაზე, ჩაბარებული საგნების და მიღებული შეფასების, ასევე, სკალირებული ქულის და საკონკურსო ქულის მითითებით - თუ განმცხადებელი ბაკალავრია;

თ) **დოკუმენტი -** საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების თაობაზე - თუ განმცხადებელი მაგისტრანტია;

ი) **საბანკო რეკვიზიტი;**

3. მერია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

მუხლი 6. განცხადების მიღების ვადები

განცხადებები კონკურსში მონაწილეობის თაობაზე, მიიღება მიმდინარე სასწავლო წლის:

ა) საშემოდგომო სემესტრში მიღებული შეფასების მიხედვით - მარტის თვეში (პირველი სამუშაო დღიდან, ბოლო სამუშაო დღის ჩათვლით);

ბ) საგაზაფხულო სემესტრში მიღებული შეფასების მიხედვით - ოქტომბრის თვეში (პირველი სამუშაო დღიდან, ბოლო სამუშაო დღის ჩათვლით).

მუხლი 7. კონკურსის ეტაპები

1. კონკურსი მოიცავს ორ ეტაპს:
   1.1 დოკუმენტების მიღება - პირველი ეტაპი;
   1.2 დოკუმენტების განხილვა - მეორე ეტაპი.
2. რეგისტრირებული დოკუმენტაცია განსახილველად გადაეცემა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) შესაბამისი კომპეტენციის განყოფილებას (შემდგომში - განყოფილება).
3. განყოფილება შეისწავლის დოკუმენტაციას და შეჰყავს ინფორმაცია კონკურსანტთა რეესტრში.
4. არასრული დოკუმენტაციის/მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, განყოფილება აცნობებს კონკურსანტს აღნიშნულის შესახებ, განცხადებაში მითითებული საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით და აძლევს 5 სამუშაო დღეს ხარვეზის გამოსასწორებლად.
5. თუ კონკურსანტი, არ გამოასწორებს ხარვეზს - განცხადება არ განიხილება.
6. განყოფილება, შემოსული განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან 15 სამუშაო დღის ვადაში, გამოავლენს კონკურსში გამარჯვებულ - საუკეთესო შედეგის მქონე სტიპენდიანტებს.

მუხლი 8. პრიორიტეტული მიმართულებები

1. **პრიორიტეტული სწავლის სფეროები / საგანმანათლებლო პროგრამები:**
   ა) **01 განათლება:** 0111.1.1 განათლების მეცნიერებები; 0112.1.1 სკოლამდელი განათლება; 0112.3.1 სკოლამდელი აღზრდა; 0113.1.1 სპეციალური განათლება (მასწავლებლის განათლება); 0114.1.1 საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის განათლება;
   ბ) **02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები:** 0222.1.1 ისტორია; 0222.1.2 არქეოლოგია; 0223.1.1 ფილოსოფია; 0231.1.1 აფხაზური ფილოლოგია (აფხაზური როგორც მეორე ენა); 0232.1.1 ქართული ფილოლოგია; 0232.1.2 აფხაზური ფილოლოგია; 0232.2.4 ქართული ლიტერატურა/ქართული ლიტერატური

ისტორია; 0288.1.3 კულტურული მემკვიდრეობის კვლევები;

გ) **03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია:** 0311.1.1 ეკონომიკა; 0313.1.1 ფსიქოლოგია;0313.2.7 ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგია; 0314.1.4 კულტურის კვლევები; 0322.3.1 საბიბლიოთეკო საქმე;

დ) **04 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი:** 0413.1.3 საჯარო მმართველობა; 0413.2.5 სპორტის მენეჯმენტი; 0413.2.6 განათლების მენეჯმენტი; 0413.2.9 ხელოვნების მენეჯმენტი; 0413.3.1 ღონისძიების ორგანიზება;

ე) **05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა:** 0511.1.1 ბიოლოგია/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; 0511.2.1 ბიომრავალფეროვ-ნება; 0511.2.6 სურსათის მეცნიერება; 0512.1.2 გამოყენებითი ბიომეცნიერებები ან/და ბიოტექნოლოგია; 0521.1.1 გარემოსმცოდნეობა; 0521.1.2 ეკოლოგია; 0531.1.1 ქიმია; 0532.1.2 გეოგრაფია (ფიზიკური); 0532.1.3 გეოლოგია; 0533.1.1 ფიზიკა; 0541.1.1 მათემატიკა; 0541.2.1 გამოყენებითი მათემატიკა;

ვ) **06 ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები:** 0612.1.1 ინფორმაციული ტექნოლოგიები;

ზ) **07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა:** 0711.1.1 ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია; 0712.1.1 გარემოს ინჟინერია; 0712.3.1 შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები; 0714.1.1 ელექტრონული ინჟინერია; 0714.1.2 კომპიუტერული ინჟინერია; 0715.1.1 მექანიკის ინჟინერია ან/და ტექნოლოგია; 0716.1.5 საავტომობილო ტრანსპორტის ინჟინერია; მ0719.1.1 საინჟინრო ფიზიკა; 0719.1.2 საინჟინრო გეოდეზია და გეოინფორმატიკა; 0719.1.6 აგროინჟინერია; 0719.1.7 სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია; 0721.1.1 სასურსათო ტექნოლოგია; 0721.2.2 სურსათის უვნებლობა; 0724.1.1 სამთო და გეოინჟინერია; 0724.2.1 საინჟინრო გეოლოგია; 0731.1.1 არქიტექტურა; 0731.1.2 ურბანული დაგეგმარება / ქალაქდაგეგმარება; 0731.2.3 ლანდშაფტური არქიტექტურა; 0731.3.1 აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება; 0732.1.1 მშენებლობის ინჟინერია; 0732.1.2 სამოქალაქო ინჟინერია; 0732.2.1 წყალმომარაგებისა და წყალარინების ინჟინერია; 0732.2.2 წყლის ინჟინერია; 0732.3.1 წყალმომარაგების სისტემების ექსპლუატაცია; 0732.3.2 წყალარინების სისტემების ექსპლუატაცია; 0788.1.1 მშენებლობის ინჟინერია და მენეჯმენტი;

თ) **08 სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა, ვეტერინარია:** 0811.1.1 აგრონომია; 0811.2.1 აგრობიოტექნოლოგია; 0811.2.3 მეცხოველეობა; 0811.2.4 ორგანული სოფლის მეურნეობა; 0811.2.5 აგრობიზნესის მენეჯმენტი; 0811.2.6 აგროეკოლოგია; 0811.2.7 სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია; 0811.2.8 აგროტექნოლოგია; 0811.3.5 მევენახეობა; 0811.3.6 მებოსტნეობა; 0811.3.7 ცხენის მოვლა; 0812.1.1საბაღო-საპარკო მეურნეობა; 0812.3.1 მებაღეობა; 0821.1.1 სატყეო საქმე; 0821.2.2. სატყეო მეცნიერება; 0821.3.1 სატყეო საქმე; 0841.1.1 ვეტერინარია; 0841.3.1 ვეტერინარია;

ი) **09 ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა:** 0912.2.2 ეპიდემიოლოგია;

კ) **10 მომსახურებები:** 1014.1.1 სპორტი; 1015.2.1 კულტურული ტურიზმი.

მუხლი 9. გამარჯვებულის გამოვლენა

1. გამარჯვებულად სახელდება პირველი და მეორე საფეხურის ის სტუდენტი, რომელსაც

აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, მიღებული აქვს ყველაზე მაღალი ქულა.

2. თუ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტის საკონკურსო სემესტრის აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს ერთნაირი ქულა, სტიპენდია გაიცემა იმ სტუდენტზე, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით:

ა) მიღებული აქვს უფრო მაღალი საკონკურსო ქულა;

ბ) თუ შედეგები თანაბარია - ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიღებული, უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;

გ) თუ შედეგები ისევ ერთნაირია - უცხოური ენის გამოცდაში მიღებული, უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად.

3. თუ აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სტუდენტის საკონკურსო სემესტრის აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს ერთნაირი ქულა, სტიპენდია გაიცემა იმ სტუდენტზე, რომელსაც საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგების მიხედვით:

ა) მიღებული აქვს უფრო მაღალი საკონკურსო ქულა;

ბ) თუ შედეგები თანაბარია - სპეციალობაში მიღებული უფრო მაღალი ქულის შესაბამისად;

გ) თუ შედეგები კვლავ ერთნაირია - იმ პროცედურით და იმავე თანმიმდევრობით, როგორც განსაზღვრულია აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტუდენტებთან მიმართებაში (ამავე მუხლის პუნქტი 2.).

4. თუ აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის სტუდენტის საკონკურსო სემესტრის აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად, ორ ან მეტ სტუდენტს მიღებული აქვს ერთნაირი ქულა, სტიპენდია გაიცემა, იმ სტუდენტზე, რომელსაც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით:

ა) მიღებული აქვს უფრო მაღალი საკონკურსო ქულა;

ბ) თუ შედეგები თანაბარია - ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაში მიღებული, უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად;

გ) თუ შედეგები ისევ ერთნაირია - უცხოური ენის გამოცდაში მიღებული, უფრო მაღალი სკალირებული ქულის შესაბამისად.

მუხლი 10. შედეგების დამტკიცება.

1. კონკურსის შედეგების თაობაზე, დგება აქტი, რომელსაც ხელს აწერენ - განყოფილების უფროსი და განყოფილების სპეციალისტი (ღონისძიების განხორციელებაზე მიმაგრებული თანამშრომელი).

2. აქტს ამოწმებს მერის მოადგილე (კურატორი), ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - სამსახურის უფროსი.

3. მერის მოადგილე (კურატორი), ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - სამსახურის უფროსი, მოხსენებით ბარათს კონკურსის შედეგების დამტკიცების თაობაზე, აქტის მიღებიდან არაუგვიანეს 4 სამუშაო დღისა, წარუდგენს მერს.

4. მერი, მოხსენებით ბარათის წარდგენის შემდეგ, გონივრულ ვადაში, გამოსცემს ბრძანებას კონკურსის შედეგების დამტკიცებისა და სტიპენდიის გაცემის თაობაზე.

5. კონკურსში გამარჯვებული სტიპენდიანტების სია, ქვეყნდება მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.batumi.ge.

მუხლი 11. სტიპენდიების გაცემის ვადები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, მერის

ბრძანებისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის წერილობითი მიმართვის საფუძველზე უზრუნველყოფს სტიპენდიის გაცემას (მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე).

მუხლი 12. მონაცემთა ბაზა

კონკურსში გამარჯვებული სტიპენდიანტების მონაცემები, შედის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის წარმატებული სტუდენტების საერთო მონაცემთა ბაზაში და ეგზავნება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სტუქტურულ ერთეულებს და დაქვემდებარებულ შპს/ა(ა)იპ-ს. ასევე, დასაშვებია რეკომენდირება სახელმწიფო და კერძო სექტორის დაინტერესებული პირებისათვის, მათი შესაძლო დასაქმების თვალსაზრისით.